ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამის დასახელება – **მაკროეკონომიკა**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი – **ფილოსოფიის დოქტორი ეკონომიკაში (PhD in Economics)**
პროგრამის ხელმძღვანელი - **სრული პროფესორი ნოდარ ხადური**

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

- <u>**მიზანი**</u> – იმის გათვალისწინებით, რომ მაკროეკონომიკა სწავლობს ეკონომიკურ ქცევებს, რომლებიც ზემოქმედებენ მოხმარების, დანაზოგებისა და ინვესტიციების მოცულობაზე, სავალუტო კურსსა და სავაჭრო ბალანსზე, აგრეთვე ფაქტორებს, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, ***ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამის უმთავრესი მიზანია მოამზადოს მეცნიერ-ეკონომისტთა მაღალკვალიფიციური კადრები*** ეროვნული შემოსავლის, ფასების დონის, საგარეო ვაჭრობის, უმუშევრობის, საგადამხდელო ბალანსის და სხვა აგრეგირებული ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრისა და ანალიზისათვის, რომლებთაც ექნებათ:
- ფუნდამენტური მაკროეკონომიკური პრობლემების და თეორიული საკითხების სიღრმისეული ცოდნა;
- მაკროეკონომიკურ დონეზე ემპირიული ინფორმაციის დამუშავების და ანალიზის თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენებით ეკონომიკური პროცესების ანალიზისა და პროგნოზირების უნარი;
- თანამედროვე უცხოურ და სამამულო ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობის უნარი და მაკროეკონომიკური პროცესების მეცნიერული შეფასების შესაძლებლობა;
- საქართველოს ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით თეორიული ცოდნისა და ინსტრუმენტების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა;
- არსებული მაკროეკონომიკური მოდელების, კონცეპციების და მაკროპროცესების მოდელირების (მ.შ. ეკონომეტრიკული) პრინციპების სიღრმისეული ცოდნა და პროგნოზირების და ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესში მათი გამოყენების შესაძლებლობა;

- მაკროეკონომიკაში დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევების წარმართვის შესაძლებლობა;
- უცხოურ ლიტერატურაზე, ინტერნეტ-რესურსებზე თავისუფალი მიწვდომადობა, კონფერენციებში მონაწილეობის, სამეცნიერო კვლევების მომზადების უნარი;
- მაკროეკონომიკის, მაკროეკონომიკური თეორიის სწავლების ჩვევები.

- <u>შედეგი</u>:

ფილოსოფიის დდოქტორისქტორიაკადემიური ხარისხი ეკონომიკაში მიენიჭებათ დოქტორანტებს, რომლებიც პროგრამის საფუძველზე მიღებული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით შეძლებენ: ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების მეცნიერულ შეფასებასა და ანალიზს, უზრუნველყოფენ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი გარემო პირობების შექმნას, მეცნიერულად გაანალიზებენ ფაქტორებს, რომლებსაც შეუძლიათ განსაზღვრონ ფასებისა და ხელფასების ცვლილება, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, ნაღდი ფულის მასის მოცულობა, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები, ბიუჯეტის დეფიციტი, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება და სხვა; ასევე, შეძლებენ სიტუაციების შესაბამისად იმოქმედონ და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები, შესძლებენ მაკროეკონომიკის სწავლებას უაღლეს სასწავლებლებში.

- **<u>დასაქმების სფეროები:</u>**

ფილოსოფიის დოქტორები ეკონომიკაში წარმატებით იმუშავებენ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე პასუხისმგებელ ისეთ სტრუქტურებში, როგორებიცაა *საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს პარლამენტის აპარატი, მთავრობის აპარატი, ეროვნული ბანკი, ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროები.* გარდა ამისა, მათზე დიდი მოთხოვნაა სამეცნიერო, და ანალიტიკურ სტრუქტურებში, უმაღლეს სასწავლებლებში, უცხოურ ორგანიზაციებში, სოლიდურ კომერციულ

დაწესებულებებში, წამყვან კომერციულ ბანკებში. ისინი აქტიურად მუსაობენ ექსპერტებად, ანალიტიკოსებად და პროგნოზისტებად.

- <u>**პროგრამაზე მიღების წინაპირობები:**</u>

პროგრამაზე მიღების პირობები განსაზღვრულია თსუ აკადემიური საბჭოს 2007 წლის 28 აპრილის დადგენილების "დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესახებ" შესაბამისად (**იხ.http://www.tsu.ge/docs/doqtoranturis%20debuleba.asp**), ამასთან ინდივიდუალურ სდოქტორო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (სასურველია ეკონომიკაში, ბიზნესის ადმინისტრირებაში, ეკონომიკურ გეოგრაფიაში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში).

პროგრამის გავლის წესები განსაზღვრულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით.